




Wednesday 12 September 2012

- [ჩვენ შესახებ](#)
- [კონტაქტი](#)
- [გამოკითხვა](#)
- 
- 
- 
- [მთავარი](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [საზოგადოება](#)
- [გეოპოლიტიკა](#)
- [რეგიონი](#)
- [თვალსაზრისი](#)
- [დიპლომატიური კორპუსი](#)
- [ვიდეო](#)
- [აუდიო](#)

» [მთავარი](#) » ავჭალის მოსახლეობას ცემენტის გამონაბოლქვი აწუხებს

ავჭალის მოსახლეობას ცემენტის გამონაბოლქვი აწუხებს

- August 7, 2012,
- [მთავარი](#)
- [კომენტარი](#)
-

-A +A

Like

7 people like this. Be the first of your friends.



როგორც ავჭალის მოსახლეობა ამბობს, შპს „კავკაზცემენტის“ ქარხნის გამონაბოლქვი მათ ჯანმრთელობას საფრთხეს უქმნის. ისინი „კავკაზცემენტის“ მხრიდან უკეთესი ფილტრის დაყენებას ან ქარხნის მოშორებულ ტერიტორიაზე გადატანას ითხოვენ.

შპს „კავკაზცემენტის“ ქარხანა ანდრონიკაშვილის ქუჩაზე, ყოფილი ცენტროლიტის ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობს.

ქარხნიდან 100 მეტრის მოშორებით მცხოვრები ქალბატონი მანანა ამბობს, რომ მოსახლეობას ცემენტის გამონაბოლქვი და ქარხნის ხმაური წლების განმავლობაში აწუხებს.

„კავკაზცემენტის“ ადმინისტრაციამ ფილტრაცია გააკეთა, თუმცა, მაცხოვრებლების თქმით, ფილტრმა პრობლემა ვერ მოაგვარა.

მანანა ლურსმანაშვილი, ავჭალის მაცხოვრებელი: „რამდენიმე წლის წინ მთელმა მოსახლეობამ ქარხნის ტერიტორია გადავკეტეთ და მუშებსაც კი აღარ ვუშვებდით. ვითხოვდით, რომ ან ქარხანა გადაეტანათ 30 კილომეტრის იქით, როგორც კანონითაა გათვალისწინებული. ან კიდევ ფილტრაცია გაეკეთებინათ. მერე გვთხოვეს, ქარხანას ნუ დაგვაკეტინებთ და ფილტრს გავუკეთებთო. მართლაც გაუკეთეს ფილტრი, მაგრამ ასე ახლოს დასახლებულ ტერიტორიას ფილტრი დაიცავს ცემენტისგან? ზოგჯერ ისეთი გამონაბოლქვია, დაბურული ნისლი გეგონება. სახლი მტვრითაა სავსე და ჩვენი ორგანიზმი რა დღეში იქნება, ხომ წარმოგიდგენიათ? ვისაც „გარაჟი“ არ აქვს და მანქანა გარეთ უყენია, ყველას გაუფუჭა ცემენტის მტვერმა. ფილტრმაც რომ არ უშველა, რამდენიმე წლის წინ მერიაში და გარემოს დაცვის სამინისტროში საჩივარი შევიტანეთ. მაშინ გვითხრეს, რომ 5 000 ლარით დააჯარიმეს ქარხანა, მაგრამ არ ვიცი რამდენად სიმართლეა. თავად მეპატრონე არც ვიცი ვინაა და არც შეგვხვედრია არასოდეს. რამდენჯერ მოვითხოვეთ შეხვედრა, იმდენჯერ სხვას აგზავნიდა, თვითონ არ გვენახვებოდა. განა ქარხნის გაუქმებას ვითხოვთ? იქ იმდენი ადამიანია დასაქმებული, ამ დროში სამსახურის დაკარგვა ძალიან ძნელია. მაგრამ ჩვენც რა ვქნათ? მთელი დამე სამინელი ხმაური არ გვაძინებს. ან ცოტა მოშორებით გადაიტანონ, ან უკეთესი ფილტრაცია მაინც გაუკეთონ. მაგათ ხარჯის გაღება არ უნდათ“.

მარიამ ბარბაქაძეც ავჭალაში ცხოვრობს. ის მიიჩნევს, რომ ცემენტის გამონაბოლქვი მარტო ავჭალის კი არა, მთელი თბილისის ეკოლოგიური პრობლემაა.

მარიამ ბარბაქაძე, ავჭალის მაცხოვრებელი: „2-3 წლის წინ კი დააყენეს ფილტრი, მაგრამ ადრე თუ ლოკალურად იყრებოდა მტვერი, ახლა ეს ფილტრი უფრო შორ მანძილზე აფრქვევს და ამით პრობლემა ვერ მოგვარდა. მუშაობის დროს ქარხნის გარშემო ცემენტის და

ქვიშის “ღრუბელი” დგას. ავეჯს რომ გადავწმენდ, ერთ საათში ფქვილივით თეთრი მტვრითაა დაფარული. ალბათ, ხვდებით რამდენად საშიშია ეს ადამიანების ჯანმრთელობისათვის. რამდენიმე წლის წინ აქტიურად ვიბრძოდით, რომ რაიმე შედეგისთვის მიგვეღწია. მერე დაიღალა ხალხიც. ახლა ისევ გადავწყვიტეთ, მივმართოთ ვინმეს“.

ეკოლოგიური სამართლის ცენტრის ხელმძღვანელი ნიკოლოზ მჭავანაძე ამბობს, რომ ამგვარ საწარმოებს სახელმწიფო უწყებები სათანადო ყურადღებას არ აქცევენ.

„ასეთი ტიპის ქარხნის ამუშავებისას, პირველ რიგში, გარემოზე ზემოქმედების შეფასება უნდა მოხდეს. ახლანდელმა საკანონმდებლო სისტემამ მათ ხელ-ფეხი გაუხსნა. თუ გარემოს დააზიანებენ, მაქსიმუმ, ადმინისტრაციული ჯარიმა დააკისრონ. მათი კონტროლი, წესით, გარემოს დაცვის სამინისტროს ევალება, მაგრამ, როგორც ხედავთ ყურადღებას არ აქცევენ“, – მიიჩნევს მჭავანაძე.

ასოციაცია „მწვანე ალტერნატივას“ აღმასრულებელი დირექტორის ნინო გუჯარაიძის თქმით, გარემოს დაცვის სამინისტროს ქარხნის მუშაობის შემოწმების უფლება შეეზღუდა.

„კანონით შემოწმება უნდა იყოს ან გეგმიური ან საფუძვლად უნდა ედოს მოქალაქეთა საჩივარი, რომ სამინისტრომ შეამოწმოს ქარხნის მუშაობა და მისი ზიანი გარემოზე“, – განმარტა გუჯარაიძემ.

ეკატერინე ბენდელიანი, გარემოს დაცვის სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი: „იმისათვის, რომ კონკრეტული ქარხნის შემოწმება მოხდეს თუ რამდენად საზიანოა გარემოსთვის, აუცილებლად უნდა მოგვმართოს მოსახლეობამ ან ადგილობრივმა მუნიციპალიტეტმა. ავჭალიდან არც მოსახლეობას არც მუნიციპალიტეტს ჩვენთვის არ მოუმართავს. რაც შეეხება გეგმიურ შემოწმებას, ვინაიდან კანონი არ ითხოვს ოპერატიულობის ფუნქციას, ჩვენ ავჭალის ცემენტის ქარხნის გარემოზე ზიანი არ შეგვიმოწმებია“.

თავად „კავკაზცემენტის“ ქარხანაში ამბობენ, რომ ამჟამად თითქმის ყველა თანამშრომელი შვებულებაშია და ამ საკითხთან დაკავშირებით კომპეტენტური არავინაა.

„ახლა ყველა შვებულებაშია. მარტო ბუღალტრები და ტექნიკური პერსონალი ვართ დარჩენილი. პრესსამსახურის პირად ნომერს კი მოგცემდით, მაგრამ იტალიაშია და ვერ დაუკავშირდებით. ერთ კვირაში დაბრუნდება სამსახურში“, – გვიპასუხეს „კავკაზცემენტში“.

ანა წიკლაური

opinion.ge

share:

დაწერე კომენტარი